

პროექტი

ქ.ახმეტა

„-----“, 2021წ.

განკარგულება №

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის # 628 დადგენილების და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1.„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ფარგლებში, 2021-2022 წლებში განისაზღვროს დანართების შესაბამისად კონკურსზე წარსადგენი პროექტები:

ა) ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ) ციხე-ქალაქ კვეტერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით;

გ) ორმუხის ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიზნით გადასახედისა და მისასვლელი გზის მოწყობა;

დ) ქ. ახმეტაში „წყაროების“ ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურებისათვის;

ე) ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. ნება დაერთოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტები წარადგინოს კონკურსზე „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ქ. თელავის სასამართლოში (მის: ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ინფორმაცია ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში 2021 წლისთვის დაგეგმილი საპროექტო წინადადებების შესახებ

N	მუნიციპალიტეტი	2021 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	პროექტის კატეგორია	სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება	მათ შორის		შენიშვნა
					ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	სრიგპ-ის დაფინანსება	
1	ახმეტა	ქ. ახმეტაში, ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	გზა, პარკინგი და სავაჭრო ჯიხურები	300 000,0	3 000,0	297 000,0	
2	ახმეტა	ციხე-ქალაქ კვეთერის ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით	გზა, სველი წერტილები, საინფორმაციო დაფები	450 000,0	4 500,0	445 500,0	
3	ახმეტა	ორმუხის ბუნებრივი და ტურისტული პოტენციალის გამოყენების მიზნით გადასახედისა და მისასვლელი გზის მოწყობა	გზა, გადასახედისათვის საჭირო შენობა	480 000,0	4 800,0	475 200,0	
4	ახმეტა	ქ. ახმეტაში „წყაროების“ ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურებისათვის	ტერიტორიის კეთილმოწყობა, სველი წერტილები, საპიკნიკე ადგილები, ზაფხვთა მოედნები	1 200 000,0	12 000,0	1 188 000,0	
5	ახმეტა	ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	ტერიტორიის კეთილმოწყობა, საპიკნიკე ადგილები, სველი წერტილები	180 030,0	2 030,0	178 000,0	
		სულ ჯამი:		2 610 030	26 330	2 583 700	